ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის ახლებური გააზრება ,,მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონის თანახმად

ლაშა დევაძე

(სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად)

სამართლის სკოლა - კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლ. დევაძე

02.07.2022

აბსტრაქტი

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ,,მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონის ახალი რედაქცია, რომელმაც ფუნდამენტური ცვლილებები შემოგვთავაზა ცვლილებამდე არსებულ რედაქციასთან მიმართებაში. წინამდებარე ნაშრომის საკვლევი საგანია სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის საკითხი, 2022 წლის 1 იანვრიდან მოქმედი ,,მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონის მიხედვით.

ნაშრომის მიზანია მიმოიხილოს კორპორაციული სამართლის განვითარების ისტორია და შედეგები საქართველოში, შეადაროს ის სხვა დასავლეთ ევროპის ქვეყნების და ანგლო-ამერიკულ კორპორაციულ სამართალში დამკვიდრებულ პრაქტიკას, განმარტოს სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირების ფიდუციური ვალდებულებების რაობა, მიმოიხილოს ხელმძღვანელი პირის/ორგანოს პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები და შეიმუშავოს ოპტიმალური რეკომენდაციები, ევროკავშირის სამართალთან კიდევ უფრო დაახლოების მიზნით.

წინამდებარე ნაშრომის შექმნის პროცესში გამოყენებულია როგორც ზოგად-სამეცნიერო, ასევე სპეციალური სამართლებრივი მეთოდები. უმეტესწილად გამოყენებულ იქნა შედარებით სამართლებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, ნაშრომში შედარებულია როგორც საქართველოს, ისე დასავლეთ ევროპის 6-მდე ქვეყნისა და დელავერის შტატის კორპორაციულ სამართლებრივი დანაწესები. რაც შეეხება ისტორიულ სამეცნიერო კვლევას, მიმოხილულ იქნა კორპორაციული სამართლის განვითარების ეტაპები, როგორც ევროპის, ისე ამერიკასა და საქართველოს ფარგლებში.

ჩატარებული კვლევის შედეგად, ნაშრომში წარმოდგენილია თუ რა დამატებითი საკითხები უნდა გაეთვალისწინებინა „მეწარმეთა შესახებ“ ახალ კანონს ხემძღვანელი პირების პასუხისმგებლობის განსაზღვრისას და ასევე შესაბამისი დასკვნა.